

პარტნიორის გარიცხვა საზოგადოებიდან:ახლებური მოწესრიგება„მეწარმეთა
შესახებ„ საქართველოს კანონის პროექტის ფარგლებში

თეონა გურული

*სამაგისტრო ნაშრომი წარგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
კერძო(ბიზნეს)სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად .*

სამაგისტრო პროგრამა : კერძო(ბიზნეს)სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი : არჩილ ცერცვაძე,

საერთაშორისო ბიზნეს და ეკონომიკის სამართლის მაგისტრი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი,2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ ,რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ინდივიდუალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს ,რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად .

თეონა გურული

05. 07. 2021

აბსტრაქტი

საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის ერთადერთ საფუძველად, ქართულ რეალობაში, საკანონმდებლო დონეზე მოიაზრება შესატანის შეუტანლობა. საზოგადოების კაპიტალში შენატანი, არის უმნიშვნელოვანესი ელემენტი, რომელიც, როგორც წესი, უნდა განხორციელდეს საზოგადოების დაფუძნების ეტაპზე, თუმცა არც შემდგომში, გონივრულ ვადაში, გამოირიცხება მისი შეტანა, მთავარია მოხდეს შესატანების სრულფასოვანი შეტანა საზოგადოების საწესდებო კაპიტალში. განსაკუთრებული დატვირთვა საწესდებო კაპიტალს და შესაბამისად შესატანებს, აქვს, კაპიტალური ტიპის საწარმოში. ამხანაგური ტიპის საზოგადოებაში, ამგვარი შესატანების ვალდებულება მაშინ წარმოიშობა, თუკი პარტნიორები გადაწყვეტენ შესატანების არსებობას ამგვარ საზოგადოებებში. ცალსახაა, რომ სამეწარმეო საზოგადოების საწესდებო კაპიტალში დათქმული შესატანების შეტანა (განსაკუთრებით კაპიტალური ტიპის საზოგადოებისთვის, რომლის ბირთვი კაპიტალია), რომელთა შესახებ შეთანხმდნენ პარტნიორები წესდებაში ან თუნდაც სხვა კორპორაციულ სამართლებრივ შეთანხმებაში, არის პარტნიორთა უპირობო მოვალეობა, რომლის დარღვევამაც, ისევე როგორც ნებისიერი ვალდებულების დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს გარკვეული სახის სანქცია. სწორედ, შესატანების დროული და არასრულფასოვანი შეტანა შეიძლება იქცეს, ერთ-ერთ უპირველეს ფუნდამენტად კომპანიიდან პარტნიორის გარიცხვის თვალსაზრისით. რა თქმა უნდა, ისევე, როგორც ნებისმიერ სამართალურ თიერთობის შეწყვეტას, პარტნიორის გარიცხვასაც აქვს გარკვეული პროცედურული მხარე, რომელიც გამოიხატება პირველ რიგში, გასარიცხი პარტნიორის გაფრთხილებაში და მისთვის დამატებითი ვადის დაწესებაში, რათა შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა და თავიდან აირიდოს საზოგადოებიდან გარიცხვა.

კიდევ ერთი საფუძველი, რაც შეიძლება იქცეს გარიცხვის წინაპირობად არის, პარტნიორის მხრიდან საზოგადოების საზიანო ქმედებათა განხორციელება, რაც შეუძლებელს ხდის მასთან კოლაბორაციაში დანარჩენმა პარტნიორებმა გააგრძელებინონ საზოგადოებას საქმიანობა და მიზნის მიღწევა. ამგვარი მოვალეობის

დარღვევის შედეგი,დამრღვევი პარტნიორისათვის,უპირობოდ უნდა იყოს მისი გარიცხვა საზოგადოებიდან. მიუხედავად იმისა,რომ მოქმედი კანონმდებლობა დუმილს არჩევს ამ საკითხის გარშემო,სასამართლო პრაქტიკამ შექმნა ის სახელმძღვანელო პრინციპები,რომელთა დახმარებითაც ხორციელდება საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. სწორედ საკანონმდებლო სიმწირე და ევროპულ გზებთან სიმორე გახდა იმის საფუძველი,რომ შექმნილიყო „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონის პროექტი და დეტალურად,ევროდირექტივების შესაბამისად,მოწესრიგებინა კანონმდებლის რეგულირების მიღმა დარჩენილი ზემოაღნიშნული საკითხი. ნაშრომის მიზანია,სწორედ ახალ კანონპროექტში გათვალსწინებული გარიცხვის მახასიათებლების და მოქმედი კანონმდებლობის ჩიხური სიტუაციების გამოსწორების გზების გამოკვეთა . ნაშრომის მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანი იყო კვლევის წარმართვა კონცეპტუალური ანალიზის,აღწერითი,შეფასების და შედარებით სამართლებრივი ანალიზის კვლევის მეთოდის გამოყენებით.

აღწერითი კვლევის მეთოდის გამოყენება მიზნად ისახავდა კანონმდებლობის ახლანდელი მდგომარეობის მნიშვნელოვანი მახასიათებლების გამოკვეთას.მოქმედი კანონმდებლობის ანალიზისას გამოვლინდა ის ჩიხური სიტუაციები,რომლებიც იქმნება პარტნიორის გარიცხვის პროცესუალურ მხარესა თუ საფუძველებში.

შეფასების მეთოდის გამოყენებით დადგინდა,რამდენად პრაქტიკული დანიშნულება აქვს საკვლევ საკითხს. აუცილებელი გახდა პრაქტიკაში არსებული მდგომარეობის შესწავლა და სასამართლო გადაწყვეტილებათა გაცნობა,რომელიც მოიცავდა როგორც ნაციონალური სასამართლო პრაქტიკის,ასევე სხვა ქვეყნების სასამართლოთა გადაწყვეტილებებს.ხსნებული მეთოდის გამოყენების შედეგად დადგინდა,რომ ნაციონალური სასამართლო პრაქტიკა საკმაოდ დახვეწილი და ევროდირექტივებთან შესაბამისია,მიუხედავად საკანონმდებლო რეგულირების სიმწირისა.

შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდის გამოყენების დროს,ნაციონალური კანონმდებლობის შედარება გაკეთდა უცხოურ კანონმდებლობასთან ,უპირატესად აშშ-

ისა და გერმანიის მიდგომებთან, რამაც გამოკვეთა მოქმედი კანონმდებლობის ხარვეზები და ამ ხარვეზთა აღმოფხვრის გზები, რომელიც აისახა კიდევ ახალ კანონპროექტში.

კონცეპტუალური ანალიზის მეთოდის გამოყენებისას, საჭირო გახდა უკვე არსებული ერთ-ერთი კონცეფციის განხილვა, რომელიც შეეხება პარტნიორზე ფიდუციური ვალდებულების დაკისრებას. კერძოდ კი, ფიდუციური ვალდებულების დარღვევისათვის პარტნიორის გარიცხვის კონცეპტუალური ჩარჩოს ახსნა მოხდა.

საბოლოოდ, ნაშრომის ფარგლებში, საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის განხილვა შეეხო გარიცხვის შესაძლო საფუძვლების, თუ პროცედურების თითქმის ყველა ასპექტს.

საკვანძო სიტყვები: შესატანი, გარიცხვა, ფიდუციური მოვალეობები, საზიანო ქმედებასასარჩელო წარმოება.

Abstract

The only basis for expulsion of a partner from the society, in the Georgian reality, at the legislative level, is the idea of not filing contributions. The contribution, in the capital of the company, is the most important element, which, as a rule, should be carried out at the stage of the establishment of the company, although it is not excluded to enter it later, within a reasonable period of time. The main thing is to make a full contribution to the authorized capital of the company.

Statutory capital and, consequently, contributions have a special burden in a capital type society. In a friendly type of society, the obligation to make such a contribution arises if the partners decide to make a contribution in such a society. It is clear that making contributions to the charter capital of an entrepreneurial company (especially for a capital type company whose core is capital) agreed upon by the partners in the articles of association or even in other corporate legal agreements, is an unconditional obligation of the partners.

It is the timely and incomplete payment of the deposit that can become one of the primary foundations in terms of partner exclusion. Of course, like any termination of a legal relationship, the expulsion of a partner has a certain procedural aspect, which manifests itself primarily in warning the expelled partner and setting an additional period for him to perform his duties and prevent the public, if impeccably, from expelling him.

Another reason that may become a precondition for expulsion is the detrimental actions of the entrepreneurial community on the part of the partner, making it impossible for the other partners in collaboration with him to continue the activities of the company and achieve the goal. The result of such a breach of duty, for the infringing partner, must be his unconditional expulsion from the entrepreneurial community. Despite the silence of the current legislation on this issue, the case law has created guidelines for the exclusion of a partner from the community under the auspices of the current legislation.

Legislative scarcity and distance from European roads became the basis for drafting a new law on entrepreneurs and regulating in detail the above-mentioned issue, which is beyond the pen of the legislator, in accordance with the European directives. The modest purpose of the paper is to outline the immanent characteristics of the exclusion provided for in the new bill and the ways to remedy the deadlock in the current legislation. To achieve the purpose of the paper, it was important to conduct the research using the research method of conceptual analysis, descriptive, evaluation and comparative legal analysis.

Finally, in the paper, the discussion of partner's expulsion from the community covered almost all aspects of the possible grounds for expulsion, if any, of the procedures.

Keywords: input; expulsion; fiduciary duty; compensation; dissolution of the enterprise; claim proceedings